პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 25 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 90 (788) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) მოწვეულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ზაჰესის მუშაობის მსვლელობის შესახებ და მისი პერსპექტივები.
2. ზაჰესის ენერგიის გამოყენების შესახებ.
3. საბჭოს და მისი ორგანოების მომავალი მუშაობის გეგმა.
4. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა საბჭ. წევრთა და კანდიდატ. სავალდებულოა.

საბჭოს დეპუტატები, რომელთაც ვერ მოასწრეს მანდატების აღება თავის დროზე, მიიღებენ მას საბჭოს სხდომის გახსნის წინ. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერაც.

თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, საბჭოს დეპუტატებს შეუძლიანთ უფასოდ ისარგებლონ ტრამვაით საბჭოს მანდატებით, საბჭოს და მისი ორგანოების სხდომის დღეს—ორშაბათობით.

პრეზიდიუმი.

## საბანაკო პერიოდი—საუკეთესო პირობაა წითელ ჯარის და სოფლის კავშირის გასამტკიცებლად.

წითელი არმიის სოფელთან დაახლოების საკითხი—შეადგენს ერთ-ერთ ჩვენ მთავარ ამოცანას. ამ მხრივ ჩვენ ვეძებთ ყოველგვარ საშუალებას, რომლის მეოხებით შეიძლება წითელი არმიის მეტი დაკავშირება სოფელთან და გლეხობასთან. უნდა აღინიშნოს რომ საბანაკო პერიოდი ამ ფრიად დიადი საქმეში დიდ როლს თამაშობს. ბანაკობის დროს წითელი არმია სცხოვრობს გლეხობის გვერდით.

ის უშუალოდ თვალყურს ადევნებს სოფლის ცხოვრებას, მის ჭირვარამს და ცხადია შეძლების დაგვარად ყველაფრით ეხმარება მას. თვით გლეხებსაც სრული საშვალება ეძლევათ თავისი თვალით ნახონ და გაეცნან წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებას და მის მუშაობას. ასეთი სიახლოვე ცხადია ძლიერ მჭიდროთ აკავშირებს წითელ-არმიას ფართე მშრომელთა მასებთან და მით ხელს უწყობს მისი რიგების გაფორთოვებას და გამტკიცებას. გლეხი თავისი თვალით რწმუნდება, რომ წითელი არმია მუშების და გლეხების ინტერესების შეუდრეკელი დამცველია, რომ მისი შვილი წითელ ყაზარმაში კი არ იტანჯება მთარახის ქვეშ, როგორც თვითმპყრობელობის დროს იყო, არამედ იძენს ცოდნას, განათლებას, სამხედრო მომზადებას და უბრუნდება ოჯახს უკვე პოლიტიკურად და საზოგადოებრივად სავსებით მომწიფებული მოქალაქე. ამიტომაც, როცა ჩვენი ნაწილები შეუდგებიან საბანაკოთ გასვლისათვის მზადებას, მათ მხედველობიდან არ უნდა გაუშვან სოფელთან კავშირის მომენტიც.

წარსულ წლეებში თითქმის ყველა ბანაკად გასულ ნაწილებს თავის შეფობის ქვეშ აყვანილი ყავდათ სოფლები. მაგრამ გულახდილათ უნდა ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში ეს შეფობა ძლიერ მოიკოჭლებდა, ვინაიდან არ იყო გარკვეული ხაზი ამ მხრივ.

წრეულს კი საჭიროა წარსულ წლეების ყველა შეცდომების და მიღწევების გამოყენება. როგორც მუშაობის სხვა დარგში, ისე სოფელთან დაკავშირების საქმეშიც საჭიროა სათანადო გეგმა და მუშაობის გეზი. არ ვარგა ბევრისათვის ერთბაშად ხელის მოკიდება და სინამდვილეში კი არაფრის გაკეთება. უმჯობესია ცოტა გააკეთო და კარგი, იმდენი, რამდენიც შენს ღონეს და შესაძლებლობას არ აღემატება.

ეს დებულება ჩვენმა ნაწილებმა არ უნდა დაივიწყონ თავის მუშაობაში სოფელთან კავშირის გაღრმავების საქმეში.

თავის საშეფო სოფლებს და გლეხებს მათ უნდა გაუწიონ ნამდვილი, რეალური კულტურული და სხვა გვარი დახმარება მათი ძალებისა და საშუალებათა მიხედვით. ერთი სიტყვით მომავალ საბანაკო პერიოდში სოფელთან კავშირის საკითხი—დიდი მნიშვნელობის პრაქტიკულ ამოცანად სდგას ჩვენი წითელი ჯარის წინაშე. და ამ ამოცანის ჯეროვანად გადაჭრისათვის მზადებას აქედანვე უნდა შეუდგენ ყველამ დაწყებული მეთაურებით და პოლიტშემადგენლობით და გათავებული წითელი-არმიელებით.

# ახალი რადიო-ამბები

## საზიზღარი ცილისწამება.

კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის მტრებიავრცელებენ ყალბ საბუთებს ბულგარეთის შემთხვევასთან დაკავშირებით, რათა სახელი გაუტეხონ მათ ავტორიტეტს და გააძლიერონ კამპანია მომავალ მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი გერალდი“ ათავსებს თავის ფურცლებზე ბურჟუაზიულ გაზეთებიდან ამოღებულ ასეთ საბუთებს. ერთ საბუთში, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები უწოდებენ კომინტერნის ცირკულიარს, ნათქვამია, რომ ბულგარეთში აჯანყება უნდა მომხდარიყო 15 აპრილისთვისო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს საბუთი ძალიან ჩამოჰგავს ეგრედ წოდებულ „ზინოვიევის წერილსო“. გაზეთის აზრით ბულგარეთის ამბები მოწყობილია მაკედონიის ორგანიზაციის ან ანარქისტების მიერ. გაზეთში ნათქვამია: „ეს ახლად შეთხზული ბულგარეთის საბუთები მეტად სამარცხვინო ცდაა გააძლიერონ სიძულვილი რუსეთის ხალხისა და მისი სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ.“

გაზეთი ადარებს „ზინოვიევის წერილს“ ინგლისურ და ბულგარულ ნიმუშებს და გამოსთქვამს აზრს, რომ როგორც ერთი, ისე მეორეც გამომდინარეობს ერთი წყაროდან. დასასრულ გაზეთი ნაცხადებს: „ჩვენ ყოველთვის ვიყავით დარწმუნებული, რომ „ზინოვიევის წერილის“ წარმოშობის საიდუმლოება ადრე თუ გვიან გამოაშკარავდებოდა. ეხლა ჩვენ გვესმის, თუ როგორ მზადდება ეს წერილები და ვინ ამზადებს მათ. ჩვენ უტყუარ კვალს წავაწყდით“.

## გაღმა გაედავე და გამოღმა შეგრჩებაო.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით სოფიის ტაძრის საეკლესიო მოლარეს აღმოაჩნდა სამხრეთ სლავიის პასპორტი. ამის გამო, რომ თავიდან აიშოროს ტაძრის აფეთქების საქმეში ეჭვები, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიიღო ზომები, რათა ბულგარეთის მთავრობასთან ერთად ბრალი დასდოს ამ საქმეში საბჭოთა მთავრობას.

## ქურთების აჯანყების ლიკვიდაცია.

უკანასკნელ ხანებში გაფთრებული ბრძოლა სწარმოებდა სილვანის ოლქში მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულ ქურთებს შორის. აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიქცა მთებში სილვანი მთავრობის ჯარების ხელშია. აჯანყებულები სცდილობენ შემოუტიონ ოლქს სამხრეთიდან.

შერეფფედინის მთები გარშემორტყმულია მთავრობის ჯარებით.

## ქურთების აჯანყებას ხელმძღვანელობდა ინგლისი.

ოსმალეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელ საბუთების მიხედვით აჯანყებულებს მიმოწერა ჰქონდათ ინგლისელებთან. ინგლისელები განაგრძობენ საზღვარზე ნესტორიანელების შეიარაღებას.

## სპარსეთში დააპატიმრეს აჯანყების მეთაური შეიხ ხეიზალი.

სპარსეთის მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს შეიხ ხეიზალი თავის შვილთან ერთად. ისინი გადაგზავნილ იქნებიან თეირანში. შეიხ ხეიზალი არის აჯანყების ორგანიზატორი სპარსეთის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ ამ რამოდენიმე ხნის წინად.

## არ ესიამოვნათ.

ჩეხო-სლავიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო შეფობა წითელი არმიის მეხუთე დივიზიაზე. ამ ამბავმა მეტად გააწიწმატა სოციალ-დემოკრატები, რომლებიც სასტიკად ილაშქრებენ კომუნისტების წინააღმდეგ გაზ. „პრავო ლიდუს“

## ბურჟუაზიის შურისძიება.

ორი თვეზე მეტი გაგრძელდა ეგრედ წოდებულ გერმანიის „ჩეკას“ გასამართლება. ბურჟუაზიულ სასამართლომ ყოველგვარი ბინძური ხერხი იხმარა პროცესზე, ოღონდ კი ჩირქი მოეცხო გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის და მოეჩვენებია ის მშრომელთა მასებისათვის როგორც ტერორისტების და მკვლელების პარტია. მაგრამ ეს ხრიკი მას არ გაუვიდა. გასამართლების დაწყებისთანავე გამოირკვა მყვლეფელთა კლასის სასამართლოს საზიზღარი ზრახვები. ბრალდებულ კომუნისტ მუშებს გვერდზე მოუჯინეს რამოდენიმე პროვოკატორები, რომლებიც ცილისწამებებით და ყალბი ცნობებით სცდილობდენ ბრალდებულ მუშა—რევოლიუციონერების და კომპარტიის სახელის შებღალვას. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აღმოუჩნდა, თავისი ერთი მეორეს საწინააღმდეგო ჩვენებებით მოსყიდულ ცრუ ბრალდებულებმა სავსებით გამოაშკარავეს თავისი საზიზღარი ვინაობა.

ბევრი ეცადა სასამართლო დაემტკიცებია ბრალდება, თითქოს კომპარტიას განეზრახოს სექტას და სტინესის მოკვლა 1923 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ვერ შესძლო.

როგორც ვიცით 1923 წლის ოქტომბრის რევოლიუციონური მოძრაობა იმიტომ დამარცხდა გერმანიაში, რომ კომპარტია ვერ აღმოჩნდა სათანადოთ მომზადებული რევოლიუციის ხელმძღვანელობისათვის, მან ლმობიერი, მერყევი ხაზი აიღო.

სწორედ ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თითქოს გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მაშინ განეზრახოს სტინესის და ღენერალ სექტას მოკვლა.

მაგრამ გერმანიის სასამართლომ მაინც თავისი ქნა. მან სასტიკი განაჩენი გამოუტანა მუშა — რევოლიუციონერებს. ზოგს მათგანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ზოგს გრძელ ვადიანი კატორღა.

გერმანიის ბურჟუაზიულ სასამართლომ სავსებით გამოაშკარავა თავისი კლასობრივი ბუნება. მისი განაჩენი ერთგვარი შურისძიება არის იმ შიშისათვის, რომელიც მოჰგვარა მას 1923 წელში აბობოქრებულ მუშათა რევოლიუციამ. გერმანიის ბურჟუაზიას თავისი სასტიკობით სურს გააფრთხილოს მუშათა კლასი, რათა მან მომავალში არ გაბედოს მის წინააღმდეგ ამხედრება.

ტყუილი იმედებია. გერმანიის პროლეტარიატი ღირსეულად დააფასებს ბურჟუაზიის მორიგ ვერაგობას, რომელიც მან ჩაიდინა მუშა—რევოლიუციონერების სასტიკი გასამართლებით.

თითეული მხეცობა მყვლეფელთა კლასის მუშათა მასებს კი არ აშინებს, არამედ უფრო ამაგრებს მათ რევოლიუციონურ სულს და აღრმავებს სიძულვილს არსებულ წესწყობილებისადმი.

გერმანიის პროლეტარიატი არასდროს არ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ მის უდანაშაულო მოწინავე ამხანაგებს გერმანიის სასამართლო ასალმებდეს სიცოცხლეს, ხოლო იგივე სასამართლო ამართლებდეს როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელებს და სხვა და სხვა ჯურის რეაქციონერ ფაშისტებს.

მალე დადგება დრო, როცა ყველა ამ ვერაგობისათვის გერმანიის პროლეტარიატი სასტიკ პასუხს მოსთხოვს თავის ქვეყნის ბურჟუაზიას.

—ე.

ფურცლებზე.

მათ არ ესიამოვნათ ეს აქტი, ვინაიდან ხსენებულმა დივიზიამ დიდი ზარალი მიაყენა ციმბირში ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონერებს 1917 და თვრამეტ წლებში.

## არ იქნა და ვერ შეადგინა ვანდერველდემ ბელგიის კაბინეტი.

ბრიუსელში გაიხსნა ბელგიის მუშათა პარტიის საგანგებო ყრილობა. ყრილობაზე იდგა საკითხი შემდეგ ნაირად: წმინდა სოციალისტური, თუ ბურჟუაზიული პარტიების მონაწილეობით მთავრობის შედგენა.

413 ხმით 173-ს წინააღმდეგ ყრილობამ დაადგინა შეწყვეტილ იქნას მოლაპარაკება კაბინეტის შედგენის საკითხში.

## პოლონეთის მრეწველები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას.

პოლონეთის მრეწველთა კავშირის სხდომაზე მოსმენილ იქნა მრეწველთა მემორანდუმი. მემორანდუმში ნათქვამია, რომ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობა ფართოვდება და რომ პოლონეთი უნდა შეურიგდეს საგარეო სავაჭრო განყოფილების მონოპოლიას. მემორანდუმი საჭიროდ სთვლის პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო პალატისა და შერეული ბანკის დაარსებას.

## „გერმანიის ჩეკას“ პროცესზე. „გაუმარჯოს მოსკოვს!“— ძირს სისხლის მწოველი სასამართლო!“

„გერმანიის ჩეკას“ პროცესზე ბრალდებულები სრულიად დამშვიდებით შეხვდნენ, სასამართლოს განაჩენს. ბრალდებულებმა და გასამართლებაზე დამსწრე მუშებმა იმღერეს ინტერნაციონალი და გავიდნენ სასამართლოს დარბაზიდან.

ისმოდა ხმები:

**„გაუმარჯოს მოსკოვს!“**

**„ძირს სისხლის მწოველი სასამართლო!“**

მუშები ესროდნენ გასამართლებულთ წითელ ყვავილებს. დაპატიმრებულ იქნა ერთი მუშა.

## ბურჟუაზიული სასამართლო. ინგლისის პოლიციის „ხუმრობა“.

ამას წინად ინგლისის ფაშისტების მიერ გატაცებულ იქნა ინგლისის კომუნისტი პოლიტტი. ამ დღეებში ეს საქმე ირჩეოდა ლივერპულის სასამართლოში. პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ინგლისის ფაშისტების კავშირის 5 წევრი. ისინი არ სცნობდნენ თავს დამნაშავედ. პოლიტმა განაცხადა, რომ მტკიცება იმის, თითქოს მას ფულები აეღოს მომტაცებლებისაგან,—ეს არის თავხედური და საზიზღარი ტყუილი.



ამხ. პოლიტტი.

პოლიციის წარმომადგენელი თავგამოდებით იცავდა ბრალდებულებს. ერთმა ბრალდებულმა განაცხადა: „პოლიტის მოტაცება არ მომხდარა ფაშისტური კავშირის განკარგულებით. **ეს იყო მხოლოდ ხუმრობა.** ჩვენ მეტად კარგი განწყობილებით განვშორდით პოლიტს“ო.

სასამართლომ ბრალდებულები გაამართლა.

## გერმანიაში მწვავდება საარჩევნო ბრძოლა.

გერმანიაში საარჩევნო ბრძოლამ ამ ბოლო დროს გაცილებით მწვავე ხასიათი მიიღო, ვინემ მარტში. მონარქისტულ და რესპუბლიკანურ ახალგაზრდობის კავშირთა შორის სასტიკი ბრძოლაა, რომელიც ხშირად შეტაკებამდისაც კი მიდის.

მთავრობამ განაცხადა, რომ არჩევნების დღეს გამონაკლისი ზომები იქნება მიღებული წესრიგის დასაცავად. პოლიცია მზადაა ყოველი შემთხვევისთვის.

## მოვა დრო და თქვენც გაგასამართლებს შავი მსაჯული.

ინდოეთში ამას წინად შეიპყრეს 4 ინდუსი, რომელთაც ბრალი ედებოდათ „ბომბის დამზადებულ და შეთქმულების მომწყობ ამხანაგობის შექმნაში, რომლის მიზანს შეადგენდა ევროპიელების განდევნა ინდოეთიდან.“

ლაჰორის სასამართლომ გაარჩია მათი საქმე და ორ ბრალდებულს მიუსაჯა 5 წლის ციხე სასტიკი განცალკევებით. დანარჩენი ორი კაცი გამართლებულ იქნა.

## სამხედრო საქმე

### დისციპლინის შესახებ.

რევოლიუციონერ—მეომარის აღზრდისა და მომზადების საქმე—ძნელი საქმეა. და ის განყოფილებები, რომლებიც შეადგენენ ერთ მთელს, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „მეომარ-მოქალაქის სწავლებასა და აღზრდას“, უნდა იქნან კარგად გაგებული და შესწავლილი ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყოველი მეომარის მიერ.

მეომრის აღზრდისა და სწავლების ერთი ძირითადი განყოფილებათაგანი არის **დისციპლინა**. ყოველ მოქალაქეს ესმის დისციპლინის მნიშვნელობა. ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ უდისციპლინოდ კარგად მიდის ცხოვრება და მუშაობა სოფლად, ქარხანაში, ფაბრიკაში, ან და რომელიმე ოჯახში.

ჩვენი მეომრების უმეტესობა გლეხებია, და რა თქმა უნდა კარგადაც ახსოვთ, თუ რა ცუდათ სდგას საქმე იმ საზოგადოებებში, სადაც არ არის წესრიგი,—დისციპლინა. ხშირი იყო შემთხვევა მეფის რუსეთში, როცა მამასახლისი არავითარ პატივით არ სარგებლობდა გლეხობაში, პირიქით სიძულვილს იწვევდა მათში. და აი ეს მამასახლისი მიწის ან მინდორის გაყოფის დროს ვერ უწევდა ხელმძღვანელობას გლეხებს, რომლებსაც სძულდათ ის, ყურადღებას არ აქცევდნენ მას, და ყველა იქცეოდა ისე, როგორც თვით სურდა. ჩვეულებრივად ასეთი საზოგადოება აჭიანურებდა მიწის დაყოფას და ვერ ასწრებდა თავის დროზე თესვას.

ბევრი ისეთი მაგალითის პოვნა შეიძლება სოფლად, როცა ამა თუ იმ საზოგადოების გლეხთა უდისციპლინობისა და უთაურობის გამო ზარალდებოდა მათივე საკუთარი საქმე.

ჩვენი არმიის დისციპლინა ცოტათი განირჩევა იმ დისციპლინისაგან, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირის სხვა მოქალაქეებს შორის. და ჩვენი სამხედრო დისციპლინა განირჩევა იმით, რომ ის რამდენიმედ უფრო მკაცრია და არა სწამს არავითარი უყურადღებობა და მით უფრო უთავბოლობა.

ვიფიქროთ, რომ თუნდაც ერთი წუთით შესუსტდა ჩვენი დისციპლინა. რა გამოვა აქედან? აი რა გამოვა: ჩვენი არმია მეტად მცირე-რიცხოვანია; ჩვენ ყოველ მხრივ გარშემორტყმული ვართ თავით ფეხებამდი შეიარაღებულ ქვეყნებით, რომლებიც როგორც კი შეამჩნევენ ჩვენში დისციპლინის შესუსტებას, მაშინვე გამოსძებნიან საბაბს და მიზეზებს ომი აგვიტეხონ.

და მაშინ ჩვენ დავდგებით ისეთი საშინელი სურათის წინაშე, როცა ჩვენ უნდა მოვსწყვიტოთ ჩვენი ძმები და შემდეგ მამებიც მშვიდობიან სამეურნეო მუშაობას. ეს ერთი. მეორეც ისაა, რომ უდისციპლინო არმიის დამარცხება მეტად ჩქარა და ადვილად შეიძლება. ომს უყვარს ცოტა მსჯელობა და მეტი საქმე. და ამ საქმეს ის აკეთებს სწრაფად, დაუყონებლივ, სწორად და ყველაფერში ანგარიშ მიცემით. ხოლო თუ რომ ეს თუ ის ნაწილი უდისციპლინოა, მეთაურს არ შეუძლია მისი ხელმძღვანელობა ბრძოლაში. მეომრები მას ვერაფერს გაუგებენ, და რომც გაუგონ მაინც ვერ აასრულებენ მის განკარგულებას, რაიც ხელსაყრელი იქნება მხოლოდ მტრისათვის. ეს უნდა დაიმახსოვროს ყოველმა მეომარმა და ყველა თავის ამხანაგებს, რომლებიც ზარმაცად ასრულებენ თავისი უფროსის განკარგულებას, გამოაცოცხლოს და აუხსნას მათ უდისციპლინობის დანაშაულობა და ცუდი მხარე.

## საჭირო განმარტება.

გლეხის ცენტრალური სასახლე ოფიციალურად გაიხსნა 6 აპრილს, ხოლო სახლის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცაკ-ის მიერ, იქნა პრესაში გამოქვეყნებული 5 აპრილს.

ამ დებულებაში, რომელიც ეხება მმართველობის მიერ კულტურულ-პოლიტიკურ სფეროში წარმოებულ მუშაობას ჩამოსულ გლეხებში არის ერთი მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ გლეხის სასახლე ჩამოსულ გლეხებს უწყობს ბინებს, სადილს და სხვა. გაგებულია ეს უკანასკნელი მუხლი იმნაირად, რომ ვითომც გლეხის სასახლის მმართველობა ვალდებულია ყველა ჩამოსულ ამხანაგ გლეხებს პროვინციიდან სრულიად უფასოდ მიაწოდოს, როგორც ბინა აგრეთვე სადილი და ვახშამი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული დაწვრილებითი ცნობები თუ რა არის გ. ც. სასახლე, რა მიზნებს და ამოცანებს ისახავს ის და რა მუშაობა უნდა აწარმოოს მან.

მიუხედავათ ყველა ამისა, სახლის ოფიციალურად გახსნისა და მისი დებულების გამოქვეყნების შემდეგ, მაინც არსებობს პროვინციის ზოგიერთ ადგილებში გაუგებრობა.

ამის მაგალითები ბევრია: ქუთაისის მაზრიდან ჩამოსული გლეხი მოითხოვდა ამას. თელავიდან და სიღნაღიდან ჩამოსულმა გლეხებმა პირდაპირ გაგვიცხადეს, რომ მათ საბჭოში და ადგილობრივმა გლეხკომებმა გამოუცხადეს, რომ თფილისში არსებობს ახლად მოწყობილი გლეხის ცენტრალური სასახლე, რომელშიაც შეგიძლიანთ საჭიროების დროს, როცა ჩ. ხვალთ თფილისში, მიმართოთ და ის კი ვალდებულია სრულიად უფასოდ გაგიკეთოთ ყველაფერიო.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასახლის მმართველობას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ მიუთითოს ყველა ამხანაგებს, რომ ასეთ ნაირი გაგება გ. ც. სახლის დანიშნულებისა არ შეეფერება სინამდვილეს, რისთვისაც საჭიროა შემდეგი განმარტება იმის შესახებ თუ რა არის უფასოდ:

1) სასახლეში დაბინავებული პირადი და საზოგადო საქმეებისათვის ა) აბანო, ბ) დეზინფექცია, გ) ყოველგვარი მოხსენებები და თათბირები, დ) სარგებლობა წიგნთსაცავსამკითხველოთი, ე) კლუბში კინოებში და თეატრებში გართობა, 3) ექსკურსიების მოწყობა და სხვა საინტერესო დაწესებულებების დათვალიერება. ფაბრიკა ქარხნების, მუზეუმების და გამოფენების დათვალიერება, ყოველნაირი ცნობების მიცემა, იურიდიული კონსულტაცია, საჭირო თხოვნების, განცხადებებისა, საჩივრებისა და შუამდგომლობისათვის საჭირო ქაღალდების დაწერა—შედგენა და სხვა.

აი ყველა ის მუშაობა გლეხის ცენტრალურ სასახლეში, რაც სწარმოებს სრულიად უსასყიდლოდ გლეხებისათვის.

2) რა მუშაობა სწარმოებს სასყიდლით:

ა) დაბინავება ჩამოსული გლეხების შემდეგი კატეგორიების მიხედვით ბ) გლეხი ჩამოსული თავისი პირადი საჭიროების მიხედვით გაჭირვებული რაიმე საქმისათვის დღე და ღამეში საწოლზე იხდის 20 კ. გ) რწმუნებული სოფლის ან ერთი რომელიმე ჯგუფის გლეხებისა 30 კაპ. დ) თემის ან და მთელი რაიონის რწმუნებულები 40 კაპ. ხოლო ე) რაც შეეხება საბჭოების, პარტიის, კოოპერატივების გლეხკომების და სხვა რესპუბლიკის მასშტაბით მოწყობილი ყრილობებისათვის ჩამოსულ დელეგატს, რომელთაც საბიუჯეტო წესით ეძლევათ ხარჯების დასაფარავათ საშვალება, იხდიან 1-3 აღნიშნული კატეგორიების მიხედვით. სადილზე არის დადებული შემდეგი ფასები: ა) პირველი და მეორე ჯგუფის გლეხებისათვის სადილი ორი კერძით პურის რაოდენობის განუსაზღვრელად სადილზე 30 პროც. დაკლებულ ფასებში, წითელ სასადილოებში არსებულ ფასებთან შედარებით ე. ი. 30 კაპეიკათ, ხოლო ბ) ორი უკანასკნელი ჯგუფი რწმუნებული და დელეგატ—გლეხებისათვის სადილი ჩვეულებრივ ფასებში. რაც ყველა სასადილოებში არსებობს 50-მდე და ზევით. 4. მისაღებ ბაკში ეზოში გაჩერებულ მსხვილ-ფეხა საქონელზე ხარზე, კამეჩზე და ცხენზე, ულელზე დღე და ღამეში 15 კაპ. 5. რაც შეეხება მათი გაჩერების ვადის განსაზღვრას, ისინი იყოფიან სამ უმთავრეს ჯგუფად: ა) პირადი საჭიროებისათვის ჩამოსული გლეხი გაჩერდება 5—6 დღემდე ბ) სოფლის, თემის ან და რაიონის რწმუნებულები კოოპერატიული, საბჭოების, გლეხკომების და სხვა საქმეზე მოსულნი 1-10 დღემდე, ხოლო გ) რაც შეეხება ყრილობის დელეგატებს სანამ ყრილობები დამთავრდებოდეს, ხოლო როცა გათავდება ყრილობები დელეგატებს შეუძლიანთ კიდევ სასახლეში გაჩერდნენ არა უმეტესი ორი დღე-ღამისა 6. ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადოთ, რომ გლეხის ცენტრალურ სასახლეში მკაცრათ განსაზღვრულია შემდეგისათვის ყრილობებზე ჩამოსულ დელეგატების მიღების რიცხვი, რაც არ უნდა აღემატოს სასახლეში გაჩერებულ გლეხების საერთო რიცხვის 15 პროც. 1 მაგალითად: დღეს სასახლეს ერთბაშად შეუძლია მიიღოს საჭიროების მიხედვით დასაბინავებლად არა უმეტესი 80 კაცისა, მაშასადამე ამათში უნდა იქნეს ყველა გლეხები გარდა 15—20 კაცისა.

აი უმთავრესი ყველა ის პირობები და შინა წესები ჩვენი მუშაობისა ტ. გ. ც. სახლში. საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ სასახლე უკვე თვეზე მეტია შეუდგა თავის მუშაობას. სწარმოებს კულტურულ-პოლიტიკურ და აგრონომიულ დარგებში მუშაობა სასახლეზე მომაგრებულ სპეციალისტების საშუალებით სხვა და სხვა მოხსენებების და თათბირების სახით გლეხებში. სახლში დამთავრებულია მუზეუმის მოწყობა.

ორი კვირის შემდეგ დაიწყებს მუშაობას აბანო და სადეზინფექციო კამერა სწარმოებს ყოველ დღე იურიდიული კონსულტაცია, მრავალგვარი ცნობების მოწოდება და სხვა. ვაცხადებთ, რა ყველა ზემოაღნიშნულს ვსთხოვთ ადგილობრივ, როგორც სამაზრო აგრეთვე თემებში, საბჭოებში კოოპერატივებში, პარტ. ორგანოებში და გლეხკომებში მომუშავე პარტიულ ამხანაგებს, აგრეთვე უპარტიოს, განუმარტონ ფართე მასებს გლეხის ცენტრალური სასახლის მიზანი და დანიშნულება და აგრეთვე მისი შინაგანი წესები. რაც შეეხება იმას თუ რა გააკეთა სასახლემ დღემდე, რამდენმა გლეხმა მიმართა მას და რა გაუკეთა მათ, რა დახმარება აღმოუჩინა გლეხებს—ეს სტატისტიკური ხასიათის საყურადღებო ცნობები ჩვენ მიერ იქნება გამოქვეყნებული პრესაში ამ ახლო ხანში.

დ. ნასარიძე.

# პარტიული ცხოვრება.

## „ევკოგრუზ"-ის ხე-ტყის ქარხნის მუშა მიხ. წოწორიას საქმე.

ა. წ. 23 მარტს შესდგა 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის სხდომა, რომელზედაც დაესწრენ პარტკომისიის წევრები, კანდიდატები და ა. კ. საკანტროლო კომისიიდან წარმომადგენლები. სხდომამ გაარჩია „ევკოგრუზ"-ის ხე-ტყის ქარხნის მუშა მიხ. წოწორიას საქმე, რომელსაც ბრალი ედება ამავე ქარხნის უფროს მუშა მოქ. მესხის (უპარტიო) რევოლვერით დაჭრა.

მიხ. წოწორია დაბ. 1889 წ. მუშა, დაბალი განათლებით, რ. კ. პ. წევრი 1924 წლიდან.

საქმის მდგომარეობა გამოიხატება შემდეგში:

ა. წ. 7 მარტს საღამოს, ხე-ტყის ქარხანაში მოწვეულ იყო პოლიტ-მეცადინეობა, რომელზედაც გამოცხადდენ „ევკოგრუზ"-ის ხე-ტყის ქარხნის თანამშრომელი ქალები და მამაკაცებიც.

მათ შორის მეცადინეობაზე გამოცხადდა ამავე ქარხნის მუშა მესხი—მთვრალი, რომელიც მეცადინეობის დროს გაერთო თანამშრომელ ქალებში ლაპარაკით. სხვა ამხანაგებთან ერთად ამხ. მესხს წოწორიამაც მოუწოდა წესრიგისაკენ.

პოლიტ-მეცადინეობის დამთავრების შემდეგ—კარლ მარქსის მოედანთან წალაპარაკდენ წოწორია და მესხი, უკანასკნელმა შემოკრა წოწორიას ხელით.

მიხ. წოწორიამ იძრო რევოლვერი (სისტ. „ნაგანი") და იმის მაგივრათ, რომ თავი შეეკავებია როგორც კ. პ. წევრს, (მესხი იყო მთვრალი, და თვითონ კი ფხიზელი) არ დაუჯერა ამხანაგების სიტყვას („არ ესროლო") და მოქ. მესხი ორი ტყვიით დასჭრა ხელში და მკერდში.

პარტკომისიამ გამოარკვია მისი საქმე, როგორც დამრღვევი პარტ-დისციპლინის და კ. პ. სახელის ჩირქის მომცხები. ამხ. მიხ. წოწორია გამორიცხა პარტიიდან და მისი საქმე გადასცა სასამართლოს სასტიკი პასუხის გებაში მისაცემათ.

პარტკორი კინწურაშვილი.

## პოლიტგანყოფილების კომუჯრედში.

კომუჯრედის გადამსინჯავ კომისიაში შედიოდნენ სამი ამხანაგები, მათგან ერთი დივპარტკომისიის პასუხის მგებელი მდივანი. კომისიამ შეამოწმა, რომ კომუჯრედის მუშაობა, შედარებით გასულ დროსთან (5-6 თვის წინეთ) გამოსწორებულია. მიღწევებთან ერთად აღნიშნული იყო ნაკლულოვანებათა მთელი რიგი; კომისიამ დაავალა კომუჯრედს მიაქციოს სათნადო ყურადღება მათ გამოსწორებას.

უპირველესად ყოვლისა კომისიამ სცნო, რომ დივიზ. სამართველოს კომუჯრედში ირიცხება პარტიის წევრთა დიდი რიცხვი, რომელთაც შტაბის ფარგლებში არ აქვთ საშვალება გამოიჩინონ სათანადო აქტივობა; ამის გამო კომისიამ სავალდებულოთ სცნო ზოგიერთ ამხანაგების მიმაგრება საწყობრო ნაწილების კომუჯრედებზე პარტიული მოვალეობის ასასრულებლად.

კომისიამ გამოარკვია აგრეთვე, რომ ზოგიერთი ამხანაგები პოლიტიკურად მოუმზადებელი არიან და მიეცათ მათ წინადადება შეიძინონ სათანადო პოლიტიკური ცოდნა.

საერთოდ კი კომისიამ კომუჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და არავითარი არა ნორმალური გადახრა არ ყოფილა შემჩნეული. არც ერთი ამხანაგი კომისიის მიერ არ იქნა გამორიცხული პარტიიდან.

გადასინჯვამ დიდი გავლენა იქონია კომუჯრედის მუშაობის გამოცოხლების საქმეში. როგორც პარტიის წევრები ისე ახ. კ. კავშირლები ჩაბმული არიან აქტიურ მუშაობაში.

ახ. კ. კ. წევრთა რიცხვი არ აღემატება 6 კაცს, მიუხედავათ ამისა დაარსებულ იქნა ახ. კ. კ. ჯგუფი, რომლის ორგანიზატორად კომუჯრედის მიერ არის გამოყოფილი პარტიის ერთ—ერთი წევრი.

რაიონულ კომიტეტის მიერ ჩვენი უჯრედი მიმაგრებული იქნა წარმოკავშირის სტამბის უჯრედთან. მუდმივ კავშირის დასაჭერად გამოყოფილია ერთი ამხანაგი, და პირველი გაერთიანებული კრება ორივე კომუჯრედებისა მოწვეული იქნა სტამბაში 24 აპრილს.

ი. რუდოვსკი.

## მუშაობა მწვევამდელთა შორის.

მე-5-ე ლეგიონის, 1-ლი ასეულის, 1-ლი ტყვიამფრქვევ ოცეულის მწვევამდელთა შორის სამწყობრო და პოლიტ-მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურათ. მწვევამდელთა უმრავლესობას შეადგენენ ადგილობრივი მაღაროს მუშები, რომლებიც უკლებლათ ესწრებიან მეცადინეობას. დეზერტირობას ადგილი არა აქვს.

პოლიტ საათებს მწვევამდელთა შორის ატარებს ერთ-ერთი მეთაური. ეწყობა აგრეთვე სანიტარული საათებიც.

წერტში გამოდის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი, რისთვისაც არჩეული არის სარედაქციო კოლეგია. გაზეთში შუქდება ადგ. ა. ლ. კ. კ. და მწვევამდელთა ყოფა-ცხოვრება.




მწვევამდელები ხშირათ აწყობენ შაბათობას და საერთო ძალით ეხმარებიან გლეხობას სკოლის შეკეთება-აშენებაში.

წერტში უკვე ჩამოყალიბებულია ლ. ა. კ. კ. ჯგუფი, რომელიც ადგ. კომკავშირის რაიკომთან მჭიდრო კავშირში ატარებს ყოველგვარი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას წვევამდელებში.

თვით მწვევამდელთაგან გამოყოფილი არის ერთი კორესპონდენტი, რომელიც მწვევამდელთა ცხოვრებიდან ათავსებს წერილებს გაზეთ „წითელ-არმიელში". წერტს გამოწერილი აქვს 24 ცალი გაზ. „წითელი-არმიელი". მწვევამდელებში უდისციპლინობას ადგილი არა აქვს. ყველა მწვევამდელი ერთგულათ და წესიერათ ასრულებს უფროსთა ყოველგვარ დავალებას.

ერთგული მუშაობისათვის მწვევამდელები დიდ მადლობას უძღვნიან ამხ. ახობაძეს.

სამხკორი: შალვა ბოჭორიშვილი.

## როგორ ვსწავლობთ სამხედრო საქმეს.

### პირველი ლეგიონის მეთაურთა სკოლა.

პირველი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის მსმენელები ენერგიულად ეკიდებიან, როგორც პოლიტიკური მეცადინეობას ისე სამხედრო საქმის შესწავლის საქმეს.

პოლიტიკური მეცადინეობა სკოლაში სისტემატიურად სწარმოებდა, მაგრამ ოდნავ მაინც აფერხებდა მას განსაზღვრული თემის უქონლობა. ამ ჟამად ეს დეფექტი გამოსწორებულია.

ასეთივე მდგომარეობა იყო შექმნილი სამხედრო სწავლების საქმეშიც. მართალია სახელმძღვანელოები გვქონდა, მაგრამ ყველა რუსულ ენაზე, რაც მეთაურთა უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო. საერთოდ კი სამხედრო საქმეს კარგად ითვისებენ მომავალი უნცროსი მეთაურები.

მეცადინეობა სწარმოებს ჯგუფურად. სულ არის ორი ჯგუფი. თითეულს სხვა და სხვა თემები აქვთ გასაშუქებელი. ერთი საათის განმავლობაში ყველაფერს ვერ ვასწრებთ, რის გამო თემა ნაწილობრივად გაუვლელი რჩება. ასეთი მდგომარეობა ცოტა არ იყოს აფერხებს მეცადინეობის მსვლელობას.

კარგი იქნება თუ მოგვაწვდიან სამეცადინოთ ქართულ სამხედრო სახელმძღვანელოებს. მაშინ უფრო გაგვიადვილდება მუშაობა.

მომავალ მეთაურებს ძლიერ აინტერესებთ სასროლო საქმე. ხშირად ეწყობა შეჯიბრი. საჭიროა ჩვენი ხელმძღვანელები უფრო ხშირად გვავარჯიშებდენ.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ვეხმარებით ღარიბ გლეხებს.

### მეხუთე ლეგ. 3-მე ათასეული.

ჩვენი ათასეული დიდი ყურადღებით ეპყრობა ღარიბ გლეხობასთან დაკავშირების საქმეს. ერთ საუკეთესო საშვალებად ამ მიზნის განხორციელებისათვის არის სოფლებში წასვლა და ღარიბ გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენა მუშაობაში.

**ათასეული ახლაც იქცევა.**

ერთ საღამოს ათასეულში მოვიდა მახლობელ სოფლიდან ობოლი გლეხის შვილი და გვთხოვა დავხმარებოდით, რაზედაც სიამოვნებით განუცხადეთ თანხმობა. მეორე დღეს მთელი ათასეულის შემადგენლობა მხიარულად გავეშურეთ სოფლისაკენ.

შევესიეთ ობოლი გლეხის ადგილებს და დავიწყეთ ხვნა. სამუშაო გავინაწილეთ. ზოგი ლობესაც ლობავდენ.

გლეხის მეზობლები, და მთელი სოფელი აღფრთოვანებით შესცქეროდენ ჩვენს საქმიანობას.

მუშაობის დროს გადავიღეთ სურათი, რომელიც იქვე, სოფლის თვალსაჩინო ხალხის თავშესაკრებ ადგილზე იქნა ჩამოკიდებული.

საღამოზე ისევ გამოუდექით გზას, ჩვენი ყაზარმისაკენ. ჩვენი ასეთი საქმიანობა ძლიერ სწევს გლეხების თვალში წითელი ჯარის ავტორიტეტს.

წ. არმ ბატკუაშვილი.

## საჭიროა ყურადღება.

### სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

სამხედრო პოლიტიკურ სკოლას ყავს თავისი დალაქი და მიჩნეული აქვს ერთი პატარა ოთახი—სადალაქოთ. აქ თავს იყრის როგორც სკოლის კურსანტები (70 კაცი) ისე მთელი მეთაურთა შემადგენლობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ერთი სახმარი ინსტრუმენტით ამდენი ხალხი სარგებლობს—სრულებით არავითარი ყურადღება არ ექცევა ჰიგიენურ მხარეების დაცვას. ჯერ არის და წინსაფარები ყოველთვის ჭუჭყიანი აქვთ აფარებული. სამართებლები და თავის საკრეჭი მანქანა არასოდეს არ ევლება სადეზინფექციო სითხეში და სულ ადვილი შესაძლებელია სახის უბრალო გაკაწვრამ ამ ჭუჭყიან სამართებლით—ადამიანი რაიმე კანის სნეულებას გადაჰკიდოს.

ხშირათ უბრალო შაბიც კი არ არის.

როცა დალაქს ამაზე ვკითხეთ გვიპასუხა:—სახლში მაქვს ყველაფერი, აქ ვერ მომიტანია, რადგან შესანახი ადგილი და ყუთი არა მაქვსო.

სადალაქოში უბრალო, ხუთ შაურიანი სარკეც კი არის. საჭიროა ჩვენმა მეთაურებმა ყურადღება მიაქციონ ამ ანტისანიტარულ მდგომარეობას. სამნეო ნაწილის უფროსმა კი, შესაფერი ყუთი შეიძინოს, რომ დალაქს შეეძლოს წმინდათ შეინახოს საჭირო იარაღები და მასალა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ასეთ უსუფთაობამ და დაუდევრობამ ვინმე იმსხვერპლოს.

ახალი.

## ამხ. გერასიმე სართანიას ხსოვნას.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო პარტიული ამხანაგი გერასიმე სართანია.

ამხ. გერასიმე, უღარიბეს გლეხის შვილი, პატარაობიდანვე მოწადინებული იყო სწავლაზე. ის უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ, მიუხედავათ დიდ სურვილისა და ცდების, ვერ ახერხებს სწავლის განგრძობას და შედის სამსახურში 1916 წელს ზუგდიდის მაზრის სამომრიგებლო სასამართლოში. აქედანვე ის ხელს ჰკიდებს პოლიტიკურ მეცადინეობას და 1919 წელში შედის ა. კ. კ.—ში, სადაც ეწევა ნაყოფიერ და ენერგიულ მუშაობას.

1922 წელს პარტიის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის მიერ, ამხ. გერასიმე სართანია გაწვეული იქნა პარტ მობილიზაციით წითელ ჯარში პოლიტ-მუშაობისათვის. პოლიტგანი მას აგზავნის სამხედრო პოლიტ—კურსებზე. კურსების დასრულების შემდეგ ის ეწევა სხვა და სხვა ნაწილებში პოლიტ—და—პარტიულ მუშაობას.

მის მუშაობას გულწრფელი და ახალგაზრდული ენერგიული გატაცება ახასიათებდა. ამ უკანასკნელ დროს ამხ. სართანია მე-2-ე დივიზიის პოლიტგანის კანცელარიის უფროსად იყო. აქ ის ნაყოფიერად და დაუღალავად მუშაობდა, თან პარტიულ მუშაობასაც ასრულებდა უჯრედის დავალებით.

დღეს ამხ. გერასიმე მოაკლდა ჩვენს რიგებს. ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, იმედის მომცემი. მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენი უჯრედის და ყველა ამხანაგებისათვის.

მშვიდობით ამხ. გერასიმე, შენი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენში.

ა. ტიგიშვილი.

## სწავლა ძლიერ აინტერესებთ.

1 ლ ლეგიონის სამნეო გუნდში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წითელ არმიელებში აღმზრდელობით მუშაობას და მათ განვითარებას. პოლიტ-საათები სისტემატიურად ტარდება. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნე ამხანაგებთან გაცხოველებული მეცადინეობაა.

გუნდში არსებობს აგრეთვე სხვა და სხვა გვარი წრიები, რომელთა მუშაობაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ყოველ საღამოობით ვიკრიბებით გუნდის ლენინის კუთხეში და ვმეცადინეობთ. ვარჩევთ და ვკითხულობთ საინტერესო საკითხებსა და წიგნებს. ხშირად ვმეცადინეობთ ბუნების მეტყველებაშიც, რომელიც მეტად აინტერესებს წითელ არმიელებს.

მეცადინეობის დროს ყოველთვის დაცულია სრული სიჩუმე. ყველა ინტერესით უსმენს მკითხველს. გაუგებარ აზრებს კი გვიხსნიან უფრო მომზადებული ამხანაგები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გუნდის წითელ-არმიელებმა ბევრი რამ შეითვისეს სოფლიდან მოსვლის შემდეგ და საქმისადმი მათი ასეთი გულმოდგინეობა კიდევ მეტს გვპირდება მომავალში.

სამხკორი აბ. მსხილაძე.

## სასპორტო მუშაობა მე-4-ე ლეგიონში.

4-ე ლეგიონში დიდი ხანი არ არის, მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა სპორტ-წრე, სადაც შედის საკმაო რიცხვი წითელ-არმიელებისა.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ კვირაობით, წითელ-არმიელები დიდის ხალისით იკრიბებიან და ესწრებიან მეცადინეობას დანიშნულ დროზე.

უნდა ითქვას, რომ ამდენი ხანი არ გვქონდა სავარჯიშო ტანთსაცმელები, რაც ხელს გვიშლიდა, მაგრამ ეხლა ჩვენმა კლუბის უფროსმა ამხ. ლო-

მაძემ ამითაც დაგვაკმაყოფილა. ყველა სპორტწრის წევრებისათვის შეიძინა „ტრუსიკები“ და ფეხსაცმელები.

12 აპრილს, კვირას დილის 10 საათზე ყველა სპორტწრის წევრები კლუბის უფროსმა გამოგვაწყო „ტრუსიკებით“ და ფეხსაცმელებით, და წრის ხელმძღვანელმა წყობილებით და სიმღერით წაგვიყვანა მინდორზე სავარჯიშოთ, სადაც ჩატარდა სხვა და სხვა ვარჯიშობა და შემდეგ კი ბურთის თამაში.

წითელ არმიელებში ასეთმა გამოწყობამ დიდი შთაბეჭდილება და სიხარული გამოიწვია. წითელ არმიელები მადლობას უძღვნიდნენ კლუბის უფროსს ამხ. ლომაძეს „ტრუსიკებითა“ და ფეხსაცმელებით დაკმაყოფილებისათვის.

კლუბის უფროსი დაპირდა ყველას, რომ სულ მალე დაგაკმაყოფილებთ ზევითა ჩ საცვამითაცო და მართლაც სრული დარწმუნებულნი ვართ, ახლო მომავალში ჩვენს წრეს ექნება ზევითა ჩასაცვამიც.

სამხკორი ალ. **ნანეიშვილი.**

## მეტი ყურადღება ცხენებს.

**საარტილერიო ლეგიონი.**

პირველ საარტილერიო ლეგიონის წითელ არმიელები ყოველ წყლის დალევინებაზე ძლიერ უხეშად ეპყრობიან ცხენებს.

ცხენები მიყავთ ხან ნავარდით და ხან ჩორთით, რაც ყოვლად დაუშვებელია. სამხედრო წესდების დარიგებანი მაინც უნდა ახსოვდეთ ამ ამხანაგებს, რომელიც ამბობს, რომ „წყლის დასალევინებლად ცხენი უნდა მიყავდეთ ნაბიჯით“.

აქ ჩვენს მეთაურებს მიუძღვით დანაშაული; რატომ თვალყურს არ ადევნებენ იმის სისწორით შესრულებას, რასაც მოითხოვს სამხედრო წესდება, და რასაც ისინი ავალებენ არმიელებს.

თუ აწი მაინც არ მიექცა ამას ყურადღება აუცილებლად დასნეულდებიან ცხენები.

ამხ. არმიელებსაც უნდა ახსოვდეს, რომ ცხენებისადმი ასეთი შეუბრალებელი მოპყრობა მიუტევებელი ცოდვაა.

მეტი სიფრთხილით მოეპყარით სახელმწიფო—სახალხო ქონებას.

სამხკორი ს. **ძიროვნელი.**

## სამნეო დარგის საკითხები.

**არმიის სანივთო საწყობიდან ჯარის ნაწილებში ნივთების გადაგზავნაზე.**

იყო შემთხვევები, როდესაც სანივთო კმაყოფათა საგნების გადაგზავნის დროს არმიის საწყობიდან ჯარის ნაწილებში, ეს უკანასკნელნი ატყობინებდენ სამხედრო სამნეო განყოფილების უფროსს და ნივთსაწყობს ზოგიერთი ნივთების დაკლებაზე.

რადგანაც ის ქონება, რომელიც ეგზავნებათ ჯარის ნაწილებს, სანივთო საწყობში მზადდება გასაგზავნად ზოგიერთ ფორმალურ პირობების დაცვით და იმ გარემოებაში, რომელიც ერთგვარი თავდებია გადაგზავნილ ქონების სისწორის და სინამდვილისა, მიღებისას, აღმოჩენილ ყოველგვარ დეფექტებზე, საჭიროა დაუყოვნებლივ, იქვე ადგილობრივ, მოხდენილ იქმნას კვლევა-ძიება და შეტყობინებულ იქმნას ნივთსაწყობი აღმოჩენილ დანაკლისზე, შეთხვევის დეფექტებზე და სხვა და სხვა.

თუ რომ ტვირთის რკინის გზიდან მიღების დროს, შემჩნეული იქნება რაიმე დეფექტები, უნდა მაშინვე შედგეს სათანადო ოქმი რკინის გზის წარმომადგენლის თანდასწრებით და მონაწილეობით.

**არმიის ნივთსაწყობიდან ქონების მიღებაზე.**

ჯარის ნაწილები, რომლებიც აგზავნიან თავიანთ რწმუნებულებს ნივთ საწყობში ქონების მისაღებად ან ჩასაბარებლად, ვალდებულნი არიან დაიცვან ის წესი, რომელიცაა გათვალისწინებული არმიისადმი 1924 წ. №. 153 ბრძანებულობაში, და კერძოთ იქონიონ მხედველობაში ის დღეები და საათები, როდესაც იძლევა ან იღებს ნივთ საწყობი ქონებას, ე. ი. გეგმიური და ვადიანი განაწილებით ნივთები იძლევა და მიიღება ყოველ დღიურად 8—13 საათამდის, არა გეგმიურ მიჩინებით—სამშაბათობით და პარასკეობით ამავე საათებში.

დასტურდება ქონების მიღების წესი აღნიშნული 1924 წ. 24 ივლისს № 2536 და ა. წ. 8 იანვრის № 378 ცირკულიარებში. უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რომ მიჩინების მესამე პირი, შემოწმების და მიღებულ ქონების ვრცლად აღნიშვნის შემდეგ, დაუბრკოლებლივ გადეგზავნოს არმიის მომარაგ. სამმართველოს სამხ. სამნეო სამმართველოს და არა ნივთ საწყობს. ამ ნაირი წესის გამო აღარაა საჭირო ქვითარები.

**№ 378 ცირკულიარის წარდგენაზე.**

დასტურდება სწორუცვლელ შესასრულებლად ა. წ. № 373 ცირკულიარის 10 მუხ. ერთეულებში სხვა და სხვა გვარ მიზეზების გამო დაკლებულ ნივთებზე ცნობების წარდგენაზე. რადგანაც ახლოვდება ვადა ამ ცნობების წარდგენისა, საჭირო ჯარის ნაწილები ამ თავითვე შეუდგნენ მასალების შეკრებას, რათა 1 ლი მაისისთვის უკვე წარდგენილ იქმნას არმიის სამხ. სამნ. განყოფილებაში.

**საკარვო ქონების შეკეთებაზე.**

უნდა ახლავე იქმნას მიღებული ზომები საკარვო ქონების შესაკეთებლად. ის თანხები. რომლებსაც დახარჯავენ ჯარის ნაწილები ამ საჭიროებისთვის, იქმნება დაფარული იმ ფულიდან, რაიც იძლევა საოპერაციო წლის მე-3-და 4 კვარტალში სანივთო კმაყოფის საგნების შესაკეთებლად.

**ეროვნულ ჯარის ნაწილების მომარაგება საჭირო დავთრებით.**

ეროვნულ ჯარის ნაწილების მომარაგება, კავშირის რ. ს. ს. 1924 წ. № 603 ბრძანებით გათვალისწინებული, ყველა წიგნებით, შეფერხდა თურქულ ენაზე წიგნების გადათარგმნით. ამ ჟამად ეს დაბრკოლება დაძლეულია და ახლო მომავალში ყველა ეროვნული ჯარის ნაწილები უზრუნველყოფილ იქმნებიან საჭირო წიგნები სავსებით.

უვადო შვებულებაში დათხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

როგორც სჩანს ჯარის ნაწილების მიმოწერიდან ზოგიერთ დივიზიის უფროსები ანუ მათ თანამდებობათა სწორი პირნი, უვადო შვებულებაში დათხოვნილებს, კიდევ ატანენ მაზარებს, გაცემულს 1924 წ. 1-ლი აპრილის შემდეგ, 1924 წ. არმიისადმი № 408 ბრძანების წესით, რომელიც უკვე გაუქმებულია შემდეგი № 632 ბრძანებით.

**სამნეო საამორტიზაციო ფონდებზე.**

დამატებით არმიის მომარაგების უფროსის 1925 წელს 18 თებერვლის № 1448 ცირკულიარისა სამნეო და საამორტიზაციო ფონდების გაძლიერების შესახებ (ს. ს. რ. კავშირის რ. ს. ს. 1924 წ. № 1423) განემარტებათ ყველა ჯ. ნ. რომ ხარჯთაღრიცხვის № 11 მუხ. 5-თ მიცემული თანხები, სამნეო საჭიროების საგნების შესაძენად, უნდა მიკუთნებულ იქმნას სამნეო ფონდს.

ს. შაკუნი.

## მეცნიერება და ტექნიკა

**ლომანოსოვის სითბოთი მავალის პირველი გამოცდა**

პროფესორ ლომანოსოვის სისტემის სითბოთი მავალი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დამთავრებული იქნა, გამოსცადეს მოსკოვიდან პეტროვსკამდე (კასპიის ზღვაზე) და უკანვე ჩქარი გავლით. სითბოთი მავალმა ამნაირად დაჰფარა სულ 4.260 ვერსი.

მოსკოვიდან სითბოთი მავალმა თან წაიღო 50 ათასი ფუთის სიმძიმის რონოდების



შემადგენლობა. უკან გაბრუნების დროს კი ტვირთი უდრიდა 75 ათას ფუთს.

მოსკოვიდან პეტროვსკამდე სითბოთი მავალი მიჰქროდა 33 ვერსის საშვალო სიჩქარით საათში, პეტროვსკიდან მოსკოვამდე კი—27 ვერსის სიჩქარით.

თითეული 100 ვერსის გავლაში სითბოთი მავალი ხარჯავდა 22 ფუთ ნავთს და ნახევარ ვედრო წყალს.

სითბოთი მავალის გამოყენებით 4 ნახევარჯერ უფრო მცირდება მოძრაობისათვის გაწეული ხარჯები. ამნაირად ჩვეულებრივი ორთქლმავალი 4 ნახევარჯერ უფრო მეტ ხარჯებს იწვევს ვიდრე პროფ. ლომანოსოვის სისტემის სითბოთი მავალი.

მთელი გზა მოსკოვიდან—პეტროვსკამდე და უკანვე გავლილი იქნა სრულიად დაუზიანებლად.

ეს ახალი სითბოთი მავალი რუსეთის მეცნიერების უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ჩვეულებრივი ორთქლმავალისაგან—სითბოთი მავალი იმით განსხვავდება, რომ მისი მოძრაობისათვის საჭიროა არა ორთქლის მანქანა, არამედ ნავთით მამოძრავებელი და ელექტრო მოტორი.

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლომანოსოვი, გადასწყვიტა სპეციალური კომისიის შექმნა ახალი სითბოთი მავალების ასაგებათ.

**ღრუბლებთან ბრძოლა.**

ნისლი და ღრუბლები უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზებია საჰაერო მიმოსვლის საქმეში.

ფრენის დროს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი საშიშროებანი, საჭიროა ამ დამაბრკოლებელი მიზეზების თავიდან მოცილება

ამ მიზნით პირველი ცდები მოახდინა ინგლისში პროფესორმა უორენსიმ.

მან შესძლო გაეფანტა ღრუბლები მაღლიდან ელექტრობით დატენილი ქვიშის ღრუბლებში გატარებით.

40 ფუთი ელექტრობით დატენილი ქვიშით პროფესორმა უორენსიმ 10 წუთის განმავლობაში შესძლო 5 ვერსის სივრცეზე მოცული ღრუბლების სრულიად გაფანტვა.

## ამა გამოიცანი?

**ამოცანა № 9.**

ერთი ბრიყვი კაცი დასეირნობს თავის ოთახში გაშლილ ნოხზე, რომელსაც აქვს 22 ფუტის სიგრძე; მისი თითეული ნაბიჯი უდრის 2 ფუტს, და თითეულ წამში ის უნდება ერთი ნაბიჯის გადადგმას.

ეს კაცი თავს ირთობს იმით, რომ სამ ნაბიჯს წინ გადადგამს, ორი ნაბიჯით ისევ დაიხევს უკან და ასე შემდეგ. რამდენ წუთში მიაღწევს ეს კაცი ნოხის ბოლოს?

## ვინ იქნება შემდეგი?

სამხედრო კომისრის ამხ. ბ ე რ ი ძ ე ს გამოძახილს სიამოვნებით ვიღებ და ვიწერ ყოველ თვიურად გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მე-6-ე ლეგიონიდან: სკოლის უფროსს ამხ. გუგუნავას, ასეულის თავებს ამხ. პაპავას, ამხ. მესხიშვილს, ამხ. კანდელაკს, ამხ. თავაძეს, ამხ. შონიას, ამხ. ჯანელიძეს ამხ. ხუციშვილს, ამხ. შერეზედაშვილს, ამხ. ქუთათელაძეს, ამხ. ხირსელს, ამხ. ტატიშვილს, ამხ. გვასალიას; ცხენოსან ლეგიონიდან: შტაბის უფროს ამხ. აფაქიძეს; 1-ლ ლეგიონიდან: ამხ. ბარათაშვილს და თუშიშვილს; საკავშირო ასეულიდან: ამხ. იოსელიანს.

შტ. უფ. თანაშემწე წივწივაძე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა 1:** აქვს თუ არა უფლება უნცროს მეთაურს თავისუფალ დროს ჩაიცვას სხვა ფერის სამხედრო ფორმის ტანისამოსი სათანადო ნიშნებით.

ნ. იზ.

**კითხვა მე-2-ე:** დავასრულე დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლა და არავითარი ატტესტატი არ მიმიღია სკოლის დასრულების შესახებ. მომეცემა თუ არა ატტესტატი?

უ. მ.

**პასუხი 1 კითხვაზე** სამხედრო ფორმა მტკიცედ უნდა იქნეს დაცული. ცნობა: შინა-სამსახურის ახალი წესდების მუხლი.

**პასუხი მე-2-ე კითხვაზე** კურსანტების სიები, რომლებმაც დაასრულენ უნცროს მეთაურთა სკოლა, გამოცხადებულია დივიზიისადმი ბრძანებაში. ატტესტატების მიღება არ არის აუცილებელი სავალდებულო.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. **ჩანტლაძე.**

## განცხადებები

## ქართული წითელი ლაშქრის მთლიანი კოოპერატივის „ევკოგრუზი“-ს რწმუნებულთა წლიური მე-4 ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება ქართული დივიზიის წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბში. ა. წ. 28 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

**ყრილობის დღიური წესრიგი:**

1. ა) გამგეობის მოხსენება წ. წ. მუშაობის შესახებ და მიმდინარე სამეურნეო წლის საინფორმაციო მოხსენება.
   ბ) 1924 წ. ფინანსიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. საბჭოს მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. წესდების ზოგიერთი მუხლების შესწორება.

**დამატება.**

5. მომავალი სამოქმედო გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა.
6. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და
7. მიმდინარე საკითხები.

საორგანიზაციო საინსტრ. განყ. გამგე: ბერაძე.

## სამხკორთა და მუშკორთა დაახლოვების საღამო.

28 აპრილს წითელი არმიის და ფლოტის სახლში (კ. ლინინის ქ. № 51) საღამოს 6 საათზე შესდგება სამხკორთა და მუშკორთა გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგი: 1) „კრასნი ვოინზე“ და სამხკორებზე—ამხ. ანჩირსკი.

2) მუშკორთა მუშაობაზე—ამხ. შაფათავა.

ამ კრებაზე დასწრება სავალდებულოა გაზეთ „წითელი არმიელის“ სამხკორთათვის.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.